THE PHILOSOPHY OF BEING A HUMAN IN INGA BAKHTADZE'S LITERARY ESSAYS

ადამიანად ყოფნის ფილოსოფია ინგა ბახტაძის ესეისტიკაში

Guranda Gobiani
Doctor of Philological Sciences,
Associate Professor of Kutaisi University,
Tsereteli st. #13, Kutaisi, Georgia,
+995599075460, gobianiguranda78@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-4782-2808

Abstract. A "man", as a general human phenomenon in all times and eras, does not seem to have any novel meaning in modern literature. However, the writer Inga Bakhtadze did manage to embody the new imagological philosophy of the essence of humanity. The problem is ancient with its prehistory starting from ancient times. "Know thyself" - the inscription of the Temple of the Oracle of Delphi, which Socrates made the axis of philosophical judgment, actually became the beginning of a new, anthropological era in the history of mankind. Since then, man has always been and will be the object of research of the "eternal problem".

Culturologist, art critic, musicologist, historian, teacher and writer Inga Bakhtadze, with her usual spiritual aristocracy, refined Georgian language, and lively speech, perfectly manages to fit the entire philosophical anthropology into a few pages of texts. Within the framework of the present study, two essays are discussed: "If You Have Perceived" and "Again, About You, the Man!", which clearly show the author's attitude towards this phenomenon. For her, a person, a man is not measured by his length and width, the most important thing is a mysterious depth that the eye cannot see and the intellect cannot reach, it must be perceived.

The author chooses water as the defining criterion of man and humanity, and not by chance. Water in nature is a carrier of amazing positivity and negativity at the same time, just like man. In the process of searching for "man-sea", Inga Bakhtadze, with her usual originality and findings, offers us very interesting conceptual images-icons. For her, the border between humanity and inhumanity passes through the subconscious, the eternal confrontation between ego and alter ego as thesis and antithesis, between positive and negative charge, in which the winner is only the person who "encompasses the sea in himself". This is a self-seeker, a "stubborn" person who digs deep into his soul and tries to perceive the unknown essence, it is this "depth" that the writer sees as the beginning of personal freedom. The "only-born" can achieve this inner freedom and depth only if he realizes the greatest responsibility of being human, his mortality and transience. Inga Bakhtadze publicly "admits" her "failure" on the crooked path of perceiving the human essence, and she is well aware that this difficult but irreversible process continues forever.

Keywords: concept, imagological image-icon, philosophical anthropology, man-sea, ego, alter-ego

გურანდა გობიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. #13, საქართველო,
+995599075460, gobianiguranda78@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-4782-2808

აბსტრაქტი. ,,ადამიანი", როგორც ყველა დროსა და ეპოქაში ზოგადსაკაცობრიო ფენომენი, დღეს თითქოს ახალს არაფერს გვპირდება თანამედროვე ლიტერატურაში. თუმცა, მწერალმა ინგა ბახტაძემ ნამდვილად მოახერხა ადამიანობის არსის ფილოსოფიის ახლებური იმაგოლოგიური ხორცშესხმა. პრობლემა უძველესია და მას თავისი პრეისტორია აქვს ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან. ,,შეიცან თავი შენი" - დელფოს ორაკულის ტაძრის წარწერა, რომელიც სოკრატემ ფილოსოფიური განსჯის ღერძად აქცია, ფაქტობრივად, გახდა კაცობრიობის ისტორიაში ახალი, ანთროპოლოგიური ეპოქის დასაწყისი. აქედან მოყოლებული დღემდე ყოველთვის იყო და იქნება ადამიანი ,,მარადიული პრობლემის" კვლევის ობიექტი.

კულტუროლოგი, ხელოვნებათმცოდნე, მუსიკათმცოდნე, ისტორიკოსი, პედაგოგი და მწერალი ინგა ბახტაძე, ჩვეული სულიერი არისტოკრატიზმით, დახვეწილი ქართულით, ცოცხალი სიტყვით, შესანიშნავად ახერხებს მთელი ფილოსოფიური ანთროპოლოგია რამდენიმეგვერდიან ტექსტებში ჩაატიოს. წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხილულია ორ ესე: ,,თუ შეგიცნია" და ,,ისევ შენზე, ადამიანო!", რომლებშიც ნათლად ჩანს ავტორის დამოკიდებულება ამ ფენომენის მიმართ. მისთვის ადამიანი, კაცი ოდენ სიგრძე-სიგანით არ იზომება, მთავარი საიდუმლოებით მოცული სიღრმეა, რომელსაც თვალი ვერ ხედავს და ჭკუა ვერ სწვდება, ის უნდა შეიცნო.

ბახტაძე ადამიანისა და ადამიანობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად წყალს ირჩევს და არც თუ შემთხვევით. წყალი ბუნებაში ერთდროულად საოცარი პოზიტიური და ნეგატიური მუხტის მატარებელია, ისევე როგორც ადამიანი. ,,ადამიანი-ზღვის" ძიების პროცესში, ინგა ბახტაძე, ჩვეული ორიგინალობითა და მიგნებით, გვთავაზობს ძალიან საინტერესო კონცეპტუალურ სურათ-ხატებს. მისთვის ზღვარი ადამიანობასა და არაადამიანობას შორის მაინც ქვეცნობიერზე გადის, ეგოსა და ალტერ ეგოს, როგორც თეზასა და ანტითეზას შორის მარადიული დაპირისპირებაზე, საიდანაც გამარჯვებული მხოლოდ ის ადამიანი გამოდის, ვინც ,,ზღვას დაიტევს", საკუთარი თავის მაძიებელი, ,,ჯიუტი" ადამიანი, რომელიც თავისსავე სულში იმზირება მთელი ჩაღრმავებით და ცდილობს შეიცნოს შეუცნობელი არსი, სწორედ ეს შინაგანი ,,სიღრმე" ესახება მწერალს პიროვნული თავისუფლების საწყისად, რომელსაც ,,ერთხელშობილი" მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევს, თუ გააცნობიერებს ადამიანად ყოფნის უდიდეს პასუხისმგებლობას, თავის მოკვდაობას და წარმავლობას. ინგა ბახტაძე საჯაროდ ,,აღიარებს" თავის ,,მარცხს" ადამიანის არსის შეცნობის მრუდე გზაზე და ისიც კარგად იცის, რომ ეს რთული, მაგრამ შეუქცევადი პროცესი მარადიულად გრძელდება.

საკვანძო სიტყვები: კონცეპტი, იმაგოლოგიური სურათ-ხატი, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, ადამიანი-ზღვა, ეგო, ალტერ-ეგო

,,ეგებ, კეთილო, ბედს არ უყვარდი,
მოგიკლა გული, გყო სევდიანი?
ნუ დაეცემი, დასდეგ, გამაგრდი,
გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!“
(მამია გურიელი - ,,ადამიანი“)

შესავალი. ,,ადამიანი“, როგორც ყველა დროსა და ეპოქაში ზოგადსაკაცობრიო ფენომენი, დღეს თითქოს ახალს არაფერს გვპირდება თანამედროვე ლიტერატურაში. თუმცა, მწერალმა ინგა ბახტაძემ (1940-2023) ნამდვილად მოახერხა ადამიანობის არსის ფილოსოფიიის ახლებული იმაგოლოგიური ხორცშესხმა. არადა პრობლემა უძველესია, კვლევითი მასალა ზღვა, მსოფლიო ლიტერატურული შედევრები და ფილოსოფიური კვლევები თითქოს არ ტოვებენ ადგილს, დამატებით რამე შთამბეჭდავი ითქვას, რადგან პრეისტორია ასეთია:

,,შეიცან თავი შენი“ - დელფოს ორაკულის ტაძრის წარწერა, რომელიც სოკრატემ ფილოსოფიური განსჯის ღერძად აქცია, ფაქტობრივად, გახდა კაცობრიობის ისტორიაში ახალი, ანთროპოლოგიური ეპოქის დასაწყისი. აქედან მოყოლებული დღემდე ყოველთვის იყო და იქნება ადამიანი ,,მარადიული პრობლემის“ კვლევის ობიექტი. ძნელია ადამიანის არსის შეცნობა, როგორც კანტი ამბობს, ყოველი ადამიანი ინდივიდუალური და შეუცვლელია თავისი არსებით, ამიტომაც არის მისი კონცეპტი წინააღმდეგობრივი და ცვალებადი. ,,მგელი“, ,,აღუვსებელი საწყაული“, ,,უძღები შვილი“, ,,განტევების ვაცი“ , "სახე და ხატი ღვთისა", "გონიერი არსება", "ბუნების გვირგვინი", "მოაზროვნე ცხოველი", "პოლიტიკური ცხოველი", "ცხოვრების ჩიხი", "ცხოვრების შეცდომა", "მორალური და თავისუფალი არსება", ,,ბოროტების საწყისი“, ,,სიკეთის წყარო“– ეს ის არასრული ჩამონათვალია, რითაც შემკულია ადამიანის ბუნება და შინაგანი სამყარო ადამიანისავე თვალსაწიერიდან.

ლიტერატურასა და ხელოვნებას, მსგავსად ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა, აინტერსებს ადამიანი, როგორც მთელი, მისი ადგილი სამყაროში და მისი ყოფიერების თავისებურება, მთელის წვდომა ინტუიციური ხედვით, ფენომენოლოგიური ანალიზითა და მსჯელობით, რომელიც ზეინდივიდუალური, ლოგიკური ბუნებისაა და არ სჭირდება დასაბუთება. ის საგნის არსის უშუალო წვდომაა, რომლითაც განსაზღვრულია ადამიანის ადგილი სამყაროში, მისი მიმართება ღმერთთან, ბუნებასთან, სოციუმთან, კულტურასთან, შემოქმედებასთან, თავისუფალ არჩევანთან (მშვენიერაძე, 2005: 10). თუმცა, ისიც ფაქტია, რომ, რაც უფრო შეისწავლეს ადამიანი, მით უფრო ამოუცნობი გახდა მისი არსი და კონცეფცია. როგორც მწერალი და ხელოვნებათმცოდნე ინგა ბახტაძე აღნიშნავს: ,,ვერა და ვერ შეიცნეს ადამიანის ბუნება, სულ ჩაჰკირკიტებენ მას, მილიონობით ტომებს თხზავენ, ხან ვარდისფრად ხატავენ, ხან ნაცრისფრად ტილოებზე ბორიალებენ მის სულში, წაღმა-უკუღმა აბრუნებენ (ბახტაძე, 2023: 336).

სამყაროში არ არსებობს რაიმე სხვა ღირებულება, რომელიც ადამიანზე მაღლა დგას. ბიოლოგიური მოცემულობის გარდა, ანთროპოსი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებით ფორმულირდება, რაც პირველ რიგში, გულისხმობს მის შემოქმედებით, გონით აქტივობებს. ადამიანად ყოფნის უპირველესი ნიშანი თავისუფლებაა, გონისა და ნების ჭიდილი, სადაც ხან ერთია დომინანტი და ხან მეორე. კანტის (1724-1804) ,,კატეგორიულ იმპერატივს“, რომელიც წარმოადგენს ნებისყოფისა და გონების ისეთ ურთიერთობას, სადაც ნება გონების მოთხოვნებს ემორჩილება, უპირისპირდება შოპენჰაუერის (1788-1860 წწ) ირაციონალისტური ფილოსოფია და ფრიდრიხ ნიცშეს (1844-1900) ,,სიცოცხლის ფილოსოფია“, სადაც ადამიანის ნება უპირატესია, რადგან ადამიანი თავისუფალია მაშინ,

როდესაც მოქმედებს და ცხოვრობს ნების კარნახით და არა გონების ამკრძალავი პრინციპებით. ექსისტენციალისტების აზრით კი, სწორედ სიყვარულისკენ, ღვთაებრივისკენ ლტოლვა აქცევს ადამიანს თავისუფალ არსებად (სორენ კირკეგორი (1813 – 1855 წწ.). ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ჟან პოლ სარტრი (1905-1980 წწ.) ათეისტური ექსისტენციალიზმის პოზიციაზე დგას. მისი აზრით ადამიანი ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში თვითონ იღებს გადაწყვეტილებას და თავადვე აგებს პასუხს მასზე, რადგან ,,ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით". სარტრის მიხედვით, არ არსებობს ობიექტური და საყოველთაო ღირებულებები, ყველა ღირებულებას ადამიანი თვითონ ქმნის.

მეთოდები. კომპარატივისტული მეთოდი, ინდუქცია-დედუქციის მეთოდი, ინტერპრეტაციის მეთოდი, ანალიზის მეთოდი.

შედეგები და მსჯელობა. ადამიანი ყოველთვის იყო და იქნება ფილოსოფიური კვლევისა და განსჯის ობიექტი, რადგან, როგორც დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს, ის უფრო მეტია, ვიდრე სიცოცხლე. ადამიანი მხოლოდ სიცოცხლის მატარებელი ფიზიკური არსება არ არის, ის სულიერი, მოაზროვნე, შემოქმედი არსებაა, რომელიც შეიგრძნობს, განიცდის, შეიმეცნებს, სურს, უყვარს, სძულს, უხარია, სწყინს. ეს განასხვავებს მას მცენარისაგან, თუმცა, როგორც ფილოსოფოსი და პოეტი, ზურაბ ხასაია აღნიშნავს ინგა ბახტაძის წიგნის ,,თალხი პერანგი“ წინასიტყვაობაში: ,,ეტყობა, ადამიანმა უნდა მოინანიოს თავისი ცნობიერება. ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა დიდი სიამოვნებით აკეთებს ამას და ასეთივე სიამოვნებით უბრუნდება მცენარეულ არსებობას. დიდ უმცირესობას კი არ ძალუძს მცენარედ ყოფნა და ჯიუტად განაგრძობს ადამიანად ყოფნას“ (ბახტაძე, 2023: 13). ეს მარადიული ჭიდილი არის სწორედ, როგორც გენიალური გოდერძი ჩოხელი ამბობს, ადამიანად ყოფნა-არყოფნის ტკბილ-მწარე სევდა, რაც ძალზე ნათელი და ორგანულია ინგა ბახტაძის შემოქმედებითი ნარატივისთვის. მისი ღრმა ფილოსოფიურ-ზეაზრობრივი ნოველები და ესეები მთლიანად გაჯერებულია ადამიანის სიყვარულით. ,,მთავარი, რაც მკითხველს ეუფლება, ეს ჩვენი ქართული ლიტერატურის კლასიკიდან მომდინარე სიყვარულია ადამიანისადმი!... ეს ,,თბილი ნერვი“ ჩვენს ლიტერატურაში მუდამ ფეთქავდა. ავტორი სწორედ ამ ფეთქვის ერთგული დარჩა“ (ბახტაძე, 2023: 14).

კულტუროლოგი, ხელოვნებათმცოდნე, მუსიკათმცოდნე, ისტორიკოსი, პედაგოგი და მწერალი ინგა ბახტაძე, ჩვეული სულიერი არისტოკრატიზმით, დახვეწილი ქართულით, ცოცხალი სიტყვით, შესანიშნავად ახერხებს მთელი ფილოსოფიური ანთროპოლოგია რამდენიმე გვერდიან ტექსტებში ჩაატიოს. წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხილულია ორ ესე: ,,თუ შეგიცნია” და ,,ისევ შენზე, ადამიანო!”, რომლებშიც ნათლად ჩანს ავტორის დამოკიდებულება ამ ფენომენის მიმართ. მისთვის ადამიანი, კაცი ოდენ სიგრძე-სიგანით არ იზომება, მთავარი საიდუმლოებით მოცული სიღრმეა, რომელსაც თვალი ვერ ხედავს და ჭკუა ვერ სწვდება, ის უნდა შეიცნო:

ზეცა vs ადამიანი

ზღვა vs ადამიანი

ინგა ბახტაძის ესე ,,თუ შეგიცნია” უკვე სათაურიდან იწყებს მკითხველთან დიალოგს. ავტორი ადამიანისა და ადამიანობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად წყალს ირჩევს და არც თუ შემთხვევით. წყალი ბუნებაში ერთდროულად საოცარი პოზიტივისა და ნეგატივის მატარებელია, ისევე როგორც ადამიანი, თუმცა ავტორის ხედვით ,,ცის სივრცესა და ზღვას ვერ სწვდება თვალი. ვერ სწვდება და ამიტომაც ვერ ედრება ამ ორ სტიქიას“ (ბახტაძე, 2023: 332). ამიტომაც არის, რომ, იმას ედრება, რაც ხილულია, რაც მარტივად აღქმადია, რაც ხელშესახები და რეალურია. სივრცე (ცა) და სიღრმე (ზღვა) ადამიანის ტრანსცენდენტური, იმანენტური, მიღმური ბუნებაა, რაც აქცევს კიდეც მას

ამოუცნობ, შეუცნობელ არსებად. ,,ადამიანი-ზღვის" ძიების პროცესში, ინგა ბახტაძე, ჩვეული ორიგინალობითა და მიგნებით, გვთავაზობს ძალიან საინტერესო კონცეპტუალურ სურათ-ხატებს: **ადამიანი-ტბა, ადამიანი-გუბე, ადამიანი-წუმპე, ნახირის ნაქუსლარში ჩამდგარი მყაყისა და ამომშრალი ნაქუსლარის ადამიანი, ადამიანი-წყარო.**

პირველი კონცეპტი, რომელსაც ბახტაძე ქმნის არის **ადამიანი-ტბა** (ტბა- შენელებული წყალცვლის ბუნებრივი წყალსატევი, რომელიც არ უკავშირდება ზღვას ან ოკეანე- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986: 419). თითქოსდა მშვიდი, წყნარი, არავის არაფერს უშავებს, არავის ვნებს, ,,არის თავისთვის. ხელს არავის უშლის" მხოლოდ ხანდახან თუ აღელდება, მორჩილად ეგუება, ხშირად არც თუ ისე სახარბიელო, ხვედრს, ,,თავის ლაპლაპა ზურგზე ცელქებსაც აცელქებს და უმადურებისაგან ნაგავსაც გადაყლაპავს უდრტვინველად" (ბახტაძე, 2023: 332), თუმცა, ავტორის რიტორიკული, ირონიანარევი შეკითხვით - ,,აბა რა დასაწუნია ადამიანი-ტბა?" - ნათლად იკვეთება მწერლის პოზიცია ამ ფსიქოტიპისადმი. ფაქტია, რომ დიდ სარგებელს მისგან არ უნდა ელოდო. ჰიპოკრატეს მიერ შემუშავებული ტემპერამენტის ტიპოლოგიის მიხედვით, ის უფრო სანგვინიკის ტიპს განეკუთვნება, რომელსაც ახასიათებს გრძნობების ადვილი და სწრაფი აღმოცენება, მაგრამ სწრაფი წარმავლობაც, მიდრეკილია დადებითი გრძნობებისაკენ და ადამიანშიც უფრო კარგს ხედავ, ვიდრე ცუდს, თუმცა სიღრმე აკლია და ზღვას ვერ დაიტევს…

მეორე კონცეპტი არის **ადამიანი-გუბე** (მცირედ ჩაღრმავებულ ადგილას დამდგარი წყალი, ტბორი - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986: 151). მდორე, უმოძრაო, გულგრილი, ხელმოცარული, მხთალი არსება ,,სულ ძაგძაგებს, ვაი თუ მცხუნვარე მზემ ამაორთქლოსო". ის მხოლოდ გარეგნულ იერს იცვლის, ხან მწვანეა და ხან მიწისფერი, თევზების ნაცვლად ბაყაყებსა და წურბელებს ,,ახარებს". ტემპერამენტის ტიპის მიხედვით ის უფრო ფლეგმატიკია, რომელსაც გრძნობების სუსტი აგზნებადობა ახასიათებს. მისთვის უცხოა აფექტები და ვნებათაღელვა. ,,ამ ტიპის ადამიანის წონასწორობიდან გამოყვანა ძნელია, იგი აუღელვებელია. მოძრაობები ჩვეულებრივ დინჯი და აუჩქარებელი აქვს. მიმიკა და ჟესტები — შეკავებული" (https://ka.wikipedia.org/wiki). ავტორის დამოკიდებულება ამ ფსიქოტიპის მიმართაც საკმაოდ სარკასტული და კრიტიკულია. მართალია, ფლეგმატიკი ადამიანშიც და ცხოვრებაშიც უფრო დადებითს აქცევს ყურადღებას, ვიდრე უარყოფითს, მაგრამ საზოგადოების ეს სეგმენტი მაინც არ არის ჯანსაღი ნაწილი მთელის, ის ვერ ქმნის ამინდს, ვერ იღებს მონაწილოებას სოციუმის ჩამოყალიბებასა და ფორმულირებაში, ამიტომ ზღვას ვერც ის დაიტევს…

ასეთივე ჩუმი, უმოძრაო, მაგრამ კიდევ უფრო მყრალია **ადამიანი-წუმპე** (დაგუბებული, უსუფთაო წყალი - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986: 566), რომელიც ისევე გაურბის და ემალება მზის სხივს, სინათლეს, როგორც გუბე, თუმცა განსხვავება ის არის, რომ უფრო უსუფთაო და ,,მისი არყოფნის შემდეგაც ეს სიმყრალე დიდხანს აშმორებს მიდამოს". გაბოროტებულ ადამიანთა ეს ტიპი ერთგვარი ალუზიაა სულხან-საბას ,,მაოხრებელი მკვდარის", რომელიც მხოლოდ იმისთვის არის მოვლენილი ამ სამყაროში, რომ ვიღაცას ავნოს, თავისი სიმყრალე და შხამი ანთხიოს და სიკვდილის შემდეგაც მოსვენება დააკარგვინოს ირგვლივ მყოფთ. ჰიპოკრატეს ტემპერამენტის ტიპის მიხედვით ის უფრო ქოლერიკსა და მელანქოლიკს შორის ექცევა, რომელიც, სხვა ტიპებისგან განსხვავებით, უფრო მიდრეკილია უარყოფითი გრძნობებისა და ემოციებისაკენ, მისთვის დამახასიათებელია პესიმისტური ტენდენციები, მოქმედება - მოდუნებული, უენერგიო, უხალისო, აშინებს ყოველგვარი პროგრესი და სიახლე, ურჩევნია ,,თავკომბალებთან" პარაზიტული ცხოვრება აქტიურ, მიზანდასახულ, შედეგზე ორიენტირებულ ცხოვრების წესს, დღემოკლეა და არავითარი კავშირი არ აქვს ზღვასთან…

ინგა ბახტაძე ადამიანის ფსიქიკის კიდევ უფრო ღრმა ხვეულებში შედის და საკმაოდ კრიტიკულ, მძაფრ, სრულად ახალ კონცეპტს ქმნის -**ნახირის ნაქუსლარში ჩამდგარი მყაყისა და ამომშრალი ნაქუსლარის ადამიანი** (მყაყე - უმოძრაობისაგან აშმორებული წყალი - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986: 344). ,,მცირედ ჩანან, მაგრამ ქვეითად მოსიარულეებს სიცოცხლეს უმწარებენ. წამდაუწუმ ებლანდებიან" (ბახტაძე, 2023:333). ეს მეტაფორული სახე ყველაზე მკვეთრად გამოხატავს მწერლის მძაფრ პროტესტს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მხოლოდ ,, სიგრძე-სიგანით" იზომებიან, სიღრმე არ აქვთ, ცხოვრების ზედაპირზე ტივტივებენ, მხოლოდ გარეგნულ იმიჯს იცვლიან, ,,ასფერით იღებებიან, ჭრელად იმოსებიან", საკუთარი ეგოს ჭუპრიდან ვერ ან არ გამოდიან და თუ გამოდიან, მხოლოდ იმისთვის, რომ სხვაც შეითრიონ, ამოსვარონ, ააყროლონ. ასეთი ადამიანები ვერ ქმნიან საზოგადოებას, ასეთი ადამიანები ქმნიან ბრბოს, რომელიც ყოველთვის ადვილად იმართება, ისინი ვერასოდეს ჩაწვდებიან ზღვის სიღრმეს…

მწერალს არც სუფთა სულის, წმინდა გონების ადამიანები ავიწყდება, რომლებიც სალბუნად ედებიან კაცთა მოდგმას, ეს **ადამიანი-წყაროა** (მიწისქვეშა წყლის ბუნებრივი გამოსავალი დედამიწის ზედაპირზე), რაკრაკა, გამჭვირვალე, უშრეტი, გულუხვი, უანგარო, ,,სულის მომბრუნებელი". ის აკეთილშობილებს და აფერადებს ე.წ. ,,ნაცრისფერ ადგილებს" სამყაროში, ,,პოეტებს მისთვის უძღვნიათ ლექსები, მაგრამ ის მაინც პატარაა, უფერული" (ბახტაძე, 2023: 333). მწერლის გულის თვალი და გულის ყური კი მხოლოდ ,,სიღრმისკენ" მიიწევს, მირაჟისმაგვარ ზმანებასა და ილუზიებში **ადამიანი-ზღვას** ხედავს, მას ეტრფის, მასში ხედავს ადამიანური სრულყოფილების საწყის. ეს არის საკუთარი თავის მაძიებელი, ,,ჯიუტი" ადამიანი, რომელიც თავისსავე სულში იმზირება მთელი ჩაღრმავებით და ცდილობს შეიცნოს შეუცნობელი არსი, სწორედ ეს ,,სიღრმე" არის პიროვნული თავისუფლების საზრისი.

ინგა ბახტაძე საკითხის არსში წვდომის პროცესში პარალელს ავლებს მსოფლიოს გენიალურ მწერლებთან, კლასიკოსებთან და ფილოსოფოსებთან, გვაცნობს მათ მსოფლმხედველობას და საკმაოდ თამამად და გაბედულად აფიქსირებს საკუთარ განსხვავებულ პოზიციას. მისთვის ზღვარი ადამიანობასა და არაადამიანობას შორის მაინც ქვეცნობიერზე გადის, ეგოსა და ალტერ ეგოს, როგორც თეზასა და ანტითეზას, დადებითსა და უარყოფით მუხტს შორის მარადიული დაპირისპირებაზე. ყოველი პიროვნება მესა და გარესამყაროზეა ორიენტირებული და ეს ის სიბრტყეა, რომლის გასწვრივაც ლაგდება ადამიანთა ღირებულებათა სისტემა და ქმედებები. ბახტაძის ფილოსოფიური ანთროპოლოგია, საკმაოდ რადიკალურია, ის უარყოფს ფრანგი ჰუმანისტი ფილოსოფოსის მიშელ ეიკემ დე მონტეს მორალს - ,,არ არის თვისება, რომელიც სრულიად და განუყოფლად ბატონობს ჩვენში" და მიაჩნია, რომ სწორედ ,,ფესვმაგარი ეგოცენტრია " გაჩენის დღიდან ,,ხახადაბჩენილი და უძღები" განაგებს და განსაზღვრავს ადამის მოდგმას. ,,ეგოს" ასფეხა დაცოცავს ადამიანის ბუნებაში…შეუღწეველ ცხრაკლიტურში ძვრება ფეხმარდი და სისინებს ეგო, ეგო - მე -ო" (,,ისევ შენზე, ადამიანო!" (ბახტაძე, 2023: 336). ,,ერთხელშობილი" ცდილობს დაეწიოს ხანმოკლე, მალემსრბოლ წუთისოფელს, კარგად იცის, რომ მისი ცხოვრება ჩართულია სიცოცხლის ციკლში და განსაზღვრულია დროში (დ. უზანძე), ამიტომაც ,,უნდა დაეწიოს, მეტი მოასწროს, მეტი მობღუჯოს" (ბახტაძე, 2023: 336), მაგრამ სამზეოზე გამოსული ცრულ ალტრუისტული ინსტიქტით და ე. წ ,,გარეკანის ფსიქოლოგიით", რომელიც საკმაოდ კარგად მოირგო და შეითვისა საუკუნეების განმავლობაში, მოკაზმულ-დამშვენებული და ფარჩა-ბეწვეულით შემოსული წარსდგება სამყაროს წინაშე, როგორც კეთილგანწყობილი, კეთილშობილი, კაცთმოყვარე არსება. ადამიანთა მოდგმის უბედურებაც იმაშია, რომ ,,მრავალზე ჯადოსნურად მოქმედებს პრიალა მანტია. ისე აბრმავებს და აშეშებს, რომ ვერავინ ბედავს მისი კალთის გადაწევას…ანგარება,

პირმოთნეობა, თავხედობა, სიძუნწე და სულწასულობა ამ კალთებქვეშ დაფარული ბინძური საცვლებია, საუკუნეების მანძილზე ტანთგაუძრობელი" (ბახტაძე, 2023: 338). ამიტომაც მიაჩნია გულუბრყვილოდ მწერალს დიდი გოეთეს დამოკიდებულება ადამიანის გარეგნული იერის, აღნაგობის მიმართ, რომელსაც ის ,,საუკეთესო ტექსტს" უწოდებს, ,,რომლისგანაც საგრძნობელსა და სათხრობელს ამოვიკითხავთ ხოლმე". მაგრამ მთავარი პრობლემაც, ინგა ბახტაძის აზრით, სწორედ აქაა - არც არავინ გადაშლის და არც არავინ კითხულობს ამ ,,ტექსტს", არავის აქვს ამის არც დრო და არც სურვილი ,,მიფხლეწილ-მოფხლეწილი სულით, ცუდად დაფარული სიშიშვლით და ციკლოპური პარადოქსით, ფროიდისტული ნევროტიზმით დაუძლურებული და გოლიათური სიყალბით გაბერილ" რეალობაში (ბახტაძე, 2023: 338). ამიტომაც, ნიდერლანდელი ჰუმანისტის, კათოლიკე ქრისტიანი თეოლოგის, ერაზმ როტერდამელის მორალი - ,,სხვა რომ შეიყვარო, უწინარეს ყოვლისა, თავი უნდა შეიძულო", - ცარიელ მორალად რჩება, რამეთუ, ასეთი უანგარო კეთილშობილება, მწერლის აზრით, მხოლოდ ,,სულით ავადმყოფთ" ძალუძთ, რომლებიც გარიყულნი და მოკვეთილნი არიან მაღალი და განსხვავებული ღირებულებების გამო სოციუმიდან და მთელის იმდენად მცირე ნაწილს წარმოადგენენ, რომ სულიერად დაავადებულებად არიან შერაცხულნი ,,თავსართი ასოებით მომგებიანად მოკაზმული, საგულდაგულოდ შეფერილი" საზოგადოების მიერ. ინგა ბახტაძის **,,სულით ავადმყოფის" კონცეპტს** ასოციაციურად პირდაპირ გადავყავართ ამერიკელი ავტორის, კენ კიზის (1935-2001) რომანის „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა" (ასევე ცნობილია, როგორც ,,ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა") სიუჟეტის ცენტრში, რომელსაც თავისუფლების იდეა გასდევს ფონად. სწორედ თავისუფლებასთან ზიარებაა ჯერ ავტობუსის გატაცება და შემდეგ ღია ზღვაში სათევზაოდ გასვლა, სადაც ზღვა შინაგანი ჰარმონიის, მანკიერი წესების რღვევის სიმბოლოდ აღიქმება.

დასკვნა. უსაზღვრო, შეუზღუდავ სივრცეში გაჭრა ისარივით, მხოლოდ ,,გაჯიუტებულ", ღრმა სულიერების მქონე, ე.წ. ,,სულით ავადმყოფ" ადამიანებს შეუძლიათ. ისეთებს, რომლებიც ,,ზღვას დაიტევს". ამ შინაგან თავისუფლებას და სიღრმეს ,,ერთხელშობილი" მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევს, თუ გააცნობიერებს ადამიანად ყოფნის უდიდეს პასუხისმგებლობას, თავის მოკვდაობას და წარმავლობას, თუ შეწყვეტს ურცხვად ღვთიურის მისაკუთრებას და ორ ურჩხულს, ,,სცილას და ქარიდას" შორის მდგომი, გაიაზრებს იმ საფრთხეებს, რომლებსაც ,,საზეიმო მანტიით მოსილი" საკუთარი პატივმოყვარეობა, ,,ეგო" უქმნის, ,,მაგრამ ვერა…ვერ მიაკვლიეს ჩამარხული ძაღლის თავს"… ავტორის აზრით, ისეთივე ამაო და მირაჟისმარგვარი ზმანებაა ადამიანის შეცნობა, როგორც ეპიგრამების კლასიკოსად წოდებული ძველი რომაელი პოეტის მარკუს ვალერიოს მარციალის ნებისმიერი მცდელობა ვენერას სიშიშვლე სააშაკაროზე გამოიტანოს. არც ინგა ბახტაძე თვლის თავს გამონაკლისად, საჯაროდ ,,აღიარებს" თავის ,,მარცხს" ადამიანის არსის შეცნობის მრუდე გზაზე და ისიც კარგად იცის, რომ ეს რთული, მაგრამ შეუქცევადი პროცესი მარადიულად გრძელდება სამყაროში: ,,ამაოდ დაიფანტნენ ასოები, აზრი დაუწერელი დარჩა. კვლავაც დაიბნევიან ისინი და შეიკვრებიან. რა გამოლევთ მათ".

გამოყენებული ლიტერატურა

ბახტაძე, ი. (2023). *თალხი პერანგი. ნოველები, ესეები.* თბილისი.

ბრეგაძე, ა. (1997). *რა არის ადამიანი?* თბილისი: გამომცემლობა ,,ზედაშე".

ბუაჩიძე, თ. (2003). *ფილოსოფიური ანთროპოლიგია.* თბილისი: გამომცემლობა ,,კოლორი".

კაკაბაძე, ვ. (1979). *სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები.* თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება".

მშვენიერაძე, ნ. (2005). *ადამიანი როგორც შემოქმედი, გონითი არსება, ფილოსოფიური ანთროპოლოგია.* თბილისი: გამომცემლობა ,,იოანე პეტრიწი".

ტაბიძე, ო. (1991). *ადამიანი, თავისუფლება, შემოქმედება.* თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება".

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (1986). ტ. I. თბილისი: გამომცემლობა მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

REFERENCES

bakht'adze, i. (2023). *talkhi p'erangi. novelebi, eseebi [A Dark Shirt. Novels, Essays].* Tbilisi.

bregadze, a. (1997). *ra aris adamiani? [What is a Man?].* Tbilisi: Publishing House ,,Zedashe".

buachidze, t. (2003). *pilosopiuri antrop'oligia [Philosophical Anthropology].* Tbilisi: Publishing House ,,Kolori".

k'ak'abadze, v. (1979). *sighrmis psikologiis pilosopiuri sapudzvlebi [Philosophical Foundations of the Psychology of Depth].* Tbilisi: Publishing House ,,Metsniereba".

mshvenieradze, n. (2005). *adamiani rogorts shemokmedi, goniti arseba, pilosopiuri antrop'ologia [Man as a Creator, Rational Being, Philosophical Anthropology].* Tbilisi: Publishing House ,,Ioane Petritsi".

t'abidze, o. (1991). *adamiani, tavisupleba, shemokmedeba [Man, Freedom, Creativity].* Tbilisi: Publishing House ,,Metsniereba".

kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni [Explanatory Dictionary of the Georgian Language]. (1986). Vol. I. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences, Institute of Linguistics.